

# ახალი



განთავსება

85 წელი  
თქვენთან  
ერთად!

აქტობა

2016 წელი 30 სექტემბერი № 9 № 814



AxaliGantiadi@gmail.com



336.  
**სასაქონლო  
პროექტებს  
რას არის  
მხოლოდ  
მართ**

უამოღობის  
საზრუნავი 339

ახალი მუზეუმის გახსნა

337.  
უფროსი ვაჟი  
გამართალი რეპრეზენტები



336.  
**2016-2017 წლის  
წილის**



333.  
**ჩემი  
ძირითადი  
მოვალეობაა**




339.  
**“შენ ხარ  
ვენახი”**

339.  
**ქართული  
გუნდური  
გამართლება  
მასწავლებელი**



332.  
**სოფალ  
ფარასთან  
მისასვლელი საავ-  
ტომობილო გზის  
რეაბილიტაცია**



332.  
**უხველრა  
მუნიციპალიტეტის  
გამართლება**



332.  
**კულტურის  
სახლის  
ფასადის  
რეაბილიტაცია**

335.  
**„ინოვაცია კარგია, მაგრამ  
უკვე ნაწადი, დაინტერესებს არ  
უნდა მიეცეს..“**



334.  
**„მათემასწავ-  
ლელ ჩემი პო-  
ნიტი არის და  
პროფესიონალი“**

335.  
**50 წელი  
გახდა  
გახდება... 338**

ძველ საჭიდაოს  
ბევრი ახლოს



338.  
**2016 წლის სეზონი  
გზების  
საინჟინერო 85-ე  
წილის.  
თუ თქვენთვის  
საინჟინერო რას  
მნიშვნელოვან  
მასწავლებელს გზების  
ინჟინერიას  
გამართლება.**

332.  
**ბარნაბიანთ-  
ქარის ხიდის  
შეკეთება**



338.  
**როცა “ევროპა ჩიხას  
არგებდა”**

თიხამოცდამეხუთე წელს ჩვენი გზები  
აღწიეს, აგროვებს, ინახავს რაიონის ინჟინერებს,  
ხარეს არ უხდის ყვითელ პრესს, ქმნის ჩვენი  
ცხოვრების შეუღამაზებელ მასწავლებელს...

### შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგეობაში



ეროვნული საბუღალტრო - სააგენტოს შიდა ქართლის სამსახურის თანამშრომლებსა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს შორის გათხოვის სეზონთან დაკავშირებით საქმიანი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ისაუბრეს მოსახლეობაზე შეშის ბარათების დროულად გაცემის შესახებ.

### კულტურის ცენტრის ფასადის რეაბილიტაცია

ქალაქში კულტურის ცენტრის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს შესასვლელი კარების და ფანჯრების დემონტაჟს და შეცვლას, კიბის და შესასვლელის ბაზალტის ფილებით მოპირკეთებას, რკინის დეკორატიული კარის მონტაჟს და ფასადის შეღებვას. სამუშაოებს შპს "რაჭის მთიულეთი" ასრულებს, რომელზეც 38 200 ლარი იხარჯება. მშენებლებმა მერვე სართულის კარებების ამოცვლის სამუშაოები უკვე დაამთავრეს.




### ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე...

სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ვხდებით. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ... თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი.“ საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს“, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე. გამოგვეხმაურეთ!



### საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები

კასპში გრძელდება საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები. შპს "ფუძე"-მ სამუშაოები ახლახანს შარიფაშვილის ქუჩაზე დაასრულა. კელაპტრიშვილის ქუჩებზე დაიწყება. მუნიციპალიტეტის გამგეობას მომზადებული აქვს ქალაქის ქუჩების საკანალიზაციო სისტემის მოწყობის



სამუშაოები მალე პროექტი. სამუშაოები ქალაქის 5 ქუჩაზე: კრწანისის, ლაშქარაშვილის, გრიშაშვილის, ყაზბეგის და რეალიზებამდე.

### ბარნაბიანთკარის ხიდის შეკეთება

მიმდინარეობს სოფელ სასირეთის და ბარნაბიანთკარის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს ხიდის სავალი ნაწილის სრულ განახლებას, ზეთოვანი საღებავით შეღებვას და ხიდის ახალი მავთულბალით მოწყობას. სამუშაოებს, რომელზეც 25 203 ლარი იხარჯება შპს "ვერელი+" ასრულებს. სამუშაოები 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



„სახლი გზითაქი..“ იძიებს წინსწინდელ სურათებს რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალებს. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - რაელოვით თქვენი ყველა საგზაო მასალაში!

### სოფელ ფერმასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია



დაიწყო სოფელ ფერმასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელსაც აწარმოებს ელექტრონული



ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო სამმართველო №1". გზაზე ეწყობა სანიღვრე არხი და იგება



ასფალტი, რომლის სიგრძეც 2100 გრძობი მეტრია. სოფელი ფერმა, რომლის მოსახლეობა 330 ოჯახსამდეა, არსებული გზით სარგებლობდა. ალნიშნული გზა საფრთხის შემცველი იყო, განსაკუთრებით უხვი ნალექის დროს და მოსახლეობას და სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგმუნციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - ალნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორნა გორჩიტაშვილმა. დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ახალი 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებას უკულოცავ ჩვენს პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, განათლების სისტემის ყველა მუშაკს.

მინდა ყველას ვუსურვო წარმატებები, ჩვენი ქვეყანა განვითარების მნიშვნელოვან საფეხურზე გადადის, უკვე შექმნილია ფუნდამენტი ყველა სფეროს სერიოზული განვითარებისათვის და აქ დიდი როლი აკისრია განათლების სისტემას, ამ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ და ყველაფერს ვაკეთებთ სწავლა-სწავლების, აღზრდის ხარისხის ამაღლებისათვის.

ახალ 2016-2017 სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლა, მხოლოდ ოკმის საჯარო სკოლაში გადაიდო სწავლის დაწყების თარიღი სარეაბილიტაციო საშუალების დასრულებამდე.

სკოლის დირექტორებმა და მასწავლებლებმა შეძლებისდაგვარად იზრუნეს და მოწესრიგდა საკლასო ოთახები, ყველა სკოლაში განახლებულია ინვენტარი. მოსწავლეებს სკოლაში დახვდათ სასკოლო სახელმძღვანელოები და რეველები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წლიდან დაიწყო და გრძელდება მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ახალ სასწავლო წელს კასპის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების

4997 მოსწავლემ სასკოლო სახელმძღვანელოების და საშუალო რვეულების პაკეტი მიიღო. პაკეტი მოიცავს როგორც ძალადი ქულით შეფასებულ, უკვე გამოყენებულ სახელმძღვანელოებს ასევე, ახალ წიგნებს.

როგორც წინა წლებში, ყველა პირველი კლასის მოსწავლემ საჩუქრად მიიღო პორტატული კომპიუტერი. კასპის რაიონის 534 პირველკლასელმა უკვე მიიღო მისთვის საჩუქრად განკუთვნილი კომპიუტერი, ასევე კომპიუტერები გადაეცემათ პირველკლასელთა დამრიგებლებს, რომლებიც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სხვა დისციპლინებში სისტემატურად გადაიან გადამზადებას.

აღსანიშნავია, რომ სკოლებში ინტერნეტთან წვდომის ხარისხი მნიშვნელოვნად ამაღლდა და ყველა მოსწავლისთვის ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის პროგრამას. გასულ წლებში პროგრამაში ჩართული იყო ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლა, დოესის და სასირეთის საჯარო სკოლები, ახალ 2016-2017 სასწავლო წელს კიდევ ორ სკოლაში – კასპის №3 და ახალქალაქის საჯარო სკოლებში ამოქმედდება სამედიცინო კაბინეტები. კაბინეტების აღჭურვი-

ლობა უკვე შემოტანილია სკოლებში.

დასასრულს მიუახლოვდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში ოკმის საჯარო სკოლის სრული რეაბილი-



იტაცია, რაც გულისხმობს თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამის სასკოლო ინფრასტრუქტურას, იმავე ფონდის მიერ უკვე დაწყებულია კავთისხევის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებულია სამი ახალი სკოლის მშენებლობა: ხოვლის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის, თვალადის საჯარო სკოლის და კასპის პირველი საჯარო სკოლის, რაც მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ჩვენი განათლების სისტემისათვის.

სრულად ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, ყველა

# 2016-2017 წლის სასწავლო წელი

ჩამოიწერო წინამდებარე იტვირთვა ახალი წლის სასწავლო წელი. რა ინოვაციებს და სიახლეებს მოგვამოხმებს განათლების სისტემის განვითარების მიზნით? ჩამოიწერო მომზადებული იქნება საჯარო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოების მქონე მომზადებული მომზადების? სერვისის წინსვლის თემებზე წყობილს ყანას წავაშენებთ სკოლის რესურსების უზრუნველყოფის მიზნით.

ენტაციის საპილოტე კურსი. ახალ 2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდება ელექტრონული საკლასო ფურნალების საპილოტე პროცესი, რაც მომავალში სრულად ამოქმედდება და ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლაში დისციპლინას.

კასპის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2016 წელს გვყავს თერთმეტი მედალოსანი – ოთხი ოქროს და შვიდი ვერცხლის მედალოსანი, ასევე 14 მოსწავლე, რომლებმაც საბაზო საფეხური სრული ათი ქულით დაასრულეს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან საჩუქრად მიიღეს პორტატული კომპიუტერი.

კიდევ უფრო გაფართოვდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მომსახურება, რაიონის 17 სკოლაში მუშაობს სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც მსსმ მოსწავლეების განათლებას უწყვენ კოორდინაციას.

კასპის მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლაში კვლავ ხორციელდება “საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სამომავლოდ ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება, რაც სკოლას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. გაუმჯობესდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებები, გადაიხედება მასწავლებელთა ანაზღაურების საკითხი, უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი გახდება ონლაინ რესურსები, კიდევ უფრო გაუმჯობესდება სასკოლო ინფრასტრუქტურა და სხვა. იმედია, ჩვენი პედაგოგები აქტიურები იქნებიან და ფეხს აუწყობენ ყველა სიახლეს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ წარმატებებს!

## „შემოდგომის გვიტყვას, ასეულო...“

### “შენ ხარ ვენახი”

“იმით დამთვრალი კაცები, ტკბილსა ხმაზედა მღერაან.”

ხალხური. ბავშვობის მოგონება იმ სასმელის პირველი გასინჯვის შესახებ, რომელსაც მუდმივად, თანაც პატარებისთვის გაუგებარი თავდავიწყებით მიირთმევენ უფროსები, უცხო, არასასურველ გემოს გვახსენებს. წლების მატებასთან ერთად ისევე გვავიწყდება ენაზე დარჩენილი მომკვავო-მომწკლარტო განწყობილება, როგორც საკუთარი თავი იმ ასაკში. ღვინის არათავდაპირველადი მომხიბვლობა იმარჯვებს და მისი მირთმევის შემდეგ აღძრული ჩინებული შეგრძნებების გამოვლენა მუდმივად თუ არა, ხანგამოშვებით მანც

გვენატრება. ალბათ, იმიტომ, რომ ღვინო არა მხოლოდ “ღმერთებისა და პოეტების”, არამედ ღვთიური და პოეტური სასმელია. თანაც სხეული გენეტიკურ მექანიზმებს ატარებს – ამ მიწაზე ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ხარობდა ვაზი. აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამოკვლევით, სიტყვა ღვინო ყველა ენაში ქართულიდან შევიდა, რადგან ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი ვაზის ჩამოყალიბებისა, ეგვიპტეს, ასურეთს, მესოპოტამიას, შუა და მცირე აზიასთან ერთად, სწორედ სამხრეთ კავკასია და საქართველო გახლდათ, საიდანაც ეს სასმელი უახლოეს თუ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. დღეს კი მკვ-

ლევართა უმეტესობა შეესაშური ერთსულოვნებით აღიარებს საქართველოს ღვინის სამშობლოდ.

სამყაროს პირველი მევენახე რომ ბიბლიური ნოე იყო, ამის შესახებ ყველას კარგად მოგვხსენება. შესაქმეში ნათქვამია: “ნოემ დაასხა ვენახი”, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ველური ყურძნისგან კი არ დაწურა დამათრობელი სასმელი, არამედ თავად გააშენა ვაზების ბაღი, ანუ ვენახოვანი.

სახელდობრ როდის დაიწყო კულტურული ვაზის მოშენება საქართველოში, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ზუსტი ცნობა არ არსებობს. თუმცა ძვ. წ. 5000 წლით დათარიღებული

არაველური ვაზის წიპწები, მცხეთის, თრიალეთის, ალაზნის ველის, ბიჭვინთის, მესხეთის მატერიალური კულტურის ყოფითი ნივთები-ფილალები, თასები, მცირე ქანდაკებები, რომლებიც თითქმის 3000 წელზე მეტს ითვლის, უთუოდ ადასტურებენ, რომ ღვინო არა მხოლოდ ყოველდღიურობის, არამედ რიტუალური მისტიკების ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

ძველი ბერძნები თურმე ღვინოში არომატულ დანამატებს, სხვადასხვა ხის ქერქს, ნუშსა და ზეითუნის ზეთსაც კი ურევდნენ, ქართველები კი

ვენახს ტყის პირას აშენებდნენ, რათა, ოდესღაც ტყიურ ვაზს არსებობა გადავიღებოდა, თანაც ვენახი კულტურის ყოფითი ნივთები-ფილალები, თასები, მცირე ქანდაკებები, რომლებიც თითქმის 3000 წელზე მეტს ითვლის, უთუოდ ადასტურებენ, რომ ღვინო არა მხოლოდ ყოველდღიურობის, არამედ რიტუალური მისტიკების ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში, როცა ასურელი დასაწყისში, როცა სურელი დასაწყისში გამოუ-

ლაშქრიათ, ერთიანად გაუნადგურებიათ ვენახები – ქართული ტომების ყოფის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო. ძველი ბერძენი გეოგრაფებისა და ხე-მცენარეთა სურნელი. შემდეგ, როცა ვენახი ტყეს დამორდა, ვაზის მწკრივების თავში და ბოლოში ქართველი რვაგადა მუხას, რცხილას, ყველანაირი ჯიშის ხილს, და, დამეთანხმებით, რომ ასეთი ხეხილის ნაყოფი განსაკუთრებით გემრიელია. ხოლო ყურძნის უხვი მოსავლისაგან დაწურულ ღვინოს კი, ამოთხრილი მიწის სიღრმეში ჩაშენებულ ქვევრებში ინახავდ

\* დასასრული გვ9.

გეინეს თუ აჩის - ხელოვანი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება უხილავ თან-  
ამგზავრად... მით უმეტეს გამომჩინებულად დაყვანილი მანწველოებელი... აქობს  
რადიოჟურნალისტად, როგორც სტრუქტურის ინჟინერი - მრავალი თაობის პროფესორები,  
ლიტერატურის წარმომადგენელი ყველის ხვედრებს მთელი ცხოვრების რამდენიმე წელიწადი...  
ჩვენ კი, მათ რანსხვებზე იხივ მოწვევები უბრალოდ, ხელოვნება-  
ბაო ვეჩინობით ბავშვობის გამაოებელი სუბიჟეს რა ჩვენ თავს იმ უთბილეს რჩო-  
ში...

ყველანი ხომ ,,ჩვენი ბავშვობიდან მოყოლილნი,, რა ყოველი ახლო წაწვე-  
ლოდ წიგნს ვიხილავთ რა ჩვენ ვიხილავთ ახვედრები ჰერეგოგების წინაშე, მათ წინაშე  
ვიხილავთ ყოველი რა ჩვენ ვიხილავთ ხელოვნებით რა გამაოებელი წიგნით ვეჩინავთ  
ყბწველოებს რა აქობს მყოიეე სუბიჟეს რა ჩვენ თავს იმ უთბილეს რჩო-  
ში...

ძვირფასო ჰერეგოგებო, ახლო წაწველოდ წიგნს გილოცავთ!

# „ინოვაცია კარგია, მაგრამ უკვე ნაწადი, დავინწყნას არ უნდა მიერეს,,

დავიწყეთ სახელმძღვანელოდან, ვიცი, ბევრი დამეთანხმება და იტყვის, რომ იგი სრულფასოვნად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, იგნორირებულია, აღარ ისწავლება ბოტანიკა, ერთი რამ ცხადად გამოიკვეთა,

ლამარა სოლოღამ-ვილი-მერებაშვილისა - წინარეხის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი: ორმოცდამეჩვიდმეტე სასწავლო წელი დაიწყო ჩემთვის. აბა, წარმოიდგინეთ რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს გასახსენებელი... სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის, უმაღლესდამთავრებული ახალბედა მასწავლებელი ვიყავი წინარეხის სკოლაში რომ მივედი. ძალიან კარგად მახსოვს ის პირველი წელი, ველავდი, თან ცოტაც მეშინოდა, ლეგენდარული ნიკო ცხვედაძის მიერ დაარსებულ წინარეხის სკოლაში, რომელსაც იმ ხანად განთქმული პედაგოგი შოი შარმანაშვილი დირექტორობდა, თავმოყრილი იყო მასწავლებელთა „თანავარსკვლავედი“ და სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ უნდა მიმეყრო მათი ყურადღება ანდა როგორ უნდა გავტოლებოდი მათ. რა კქნა, ცოტა უნდა წავიჭრაბახო, სულ აღვიღად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოვიპოვე ავტორიტეტი და გავლენა, თქვენ წარმოიდგინეთ, სიყვარულიც... მარტო სკოლა კი არა, მთელი სოფელი დამიღდა გვერდით, საერთოდ, წარმოშობით გორის რაიონიდან ვარ, მაგრამ ამ სოფელს ისე შევეგუე, არსად გახედვა აღარ მინდოდა, ალბათ, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ სწორედ წინარეხში ავირჩიე ცხოვრების თანამგზავრი და ღირსეულ ადამიანს დაუკავშირე ბედი. სანაქებო ოჯახი შევექმნით, ორი ვაჟი შეგვიძინა, მყავს თითოთი საჩვენებელი შვილები და შვილიშვილები, რძლები... ერთი სიტყვით, საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობ, პირადი ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემს ბიოგრაფიაში არ შეიძლება მერე პლანზე დავაყენო ჩემი ძირითადი საქმე, მასწავლებლობა, რომელმაც უდიდესი სიხარული, წარმატება და ბედნიერება მომანიჭა ცხოვრების მანძილზე...



გეოგრაფიას კი არა, ბავშვებს ბიოლოგიასაც ვასწავლიდი და ქიმიასაც, გამოცდილებამ ბევრი რამ შემიძინა, წლების განმავლობაში ჯერ დირექტორის მოადგილე ვიყავი, მერე, თხუთმეტი წლის მანძილზე დირექტორადაც მომიწია ყოფნა. წინარეხის სკოლაში დაწყებული დირექტორიდან, ყველა მასწავლებელი ჩემი ნამოწაფარია. დრო შეიცვალა და რა თქმა უნდა, მასთან ერთად ყველაფერი... სკოლა, მასწავლებელი, სწავლების პროცესი ახლა უკვე განსხვავებულია, ადრინდელთან შედარებით განსაკუთრებული დირექტივებით ხელმძღვანელობს. სიმართლე უნდა ვაღიაროთ, ბევრი კარგი რამ დაინერგა, ბევრი საინტერესო რეფორმა განხორციელდა, თუმცა, მე, პირადად ძველ, ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებას უპირატესობას ვანიჭებ და იცით რატომ ვფიქრობ ასე? მაშინდელი მოსწავლე სკოლაში ფართო განათლებას ეუფლებოდა, სკოლადათავრებული ახალგაზრდის ერუდიცია, მისი ზოგადი ცოდნის დონე ბევრად აღემატება დღევანდელი კურსდამთავრებულისას. არა, იმას ვერ ვიტყვი, რომ 30-40 წლის წინ სკოლაში ჩამორჩენილები ან ოროსნები არ იყვნენ, მაგრამ ვისაც სწავლა, ცოდნის მიღება უნდოდა, ამას წარმატებულად ახერხებდა... ახლა კი, მინდა ჩემი მოსახრება გაგიზიაროთ გეოგრაფიის საგანზე, რომელსაც მე ვასწავლი სკოლაში.



# 50 წელი გაისად გახდენა...

ზაირა ძიძიგური - თვალადის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი: იმერელი გახლავართ, ხონის რაიონის სოფელ სუხჩაში დავიბადე და გავიზარდე, წარჩინებით დავამთავრე ვარლამ ძიძიგურის სახელობის მათხოჯის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1967 წელს განაწილების თანახმად მუშაობა დავიწყე თვალადის საშუალო სკოლაში, რა თქმა უნდა, მათემატიკის მასწავლებლად... აქაურებმა ალბათ, ძალიან კარგად იცით, თუ რა ლამაზი სოფელია თვალადი, სკოლა განთავსებულია საუცხოო ადგილას, სასიქადულო მამულიშვილის ნიკო ცხვედაძის საცხოვრებელ სახლში, რომელიც ამდღარმა საზოგადო მოღვაწემ სოფელს უანდერდა... ვინ მოთვლის, ამ მაღლიან მიწას, ცხვედაძეების ულამაზეს საცხოვრისს, რამდენი გამოჩენილი ქართველი მოუხილავს. თვალადს ხომ ხშირად სტუმრობდა ცხვედაძეების განუყრელი და უერთგულესი მეგობარი დიდი იაკობ გოგებაშვილი და სწორედ ამ სახლის კედლებში დაწერა მასწავლებელთა მასწავლებელმა თავისი უკვდავი მოთხრობა „იანანამ რა ჰქმნა“.

მოკლედ, აი, ასეთ სახელგანთქმულ სკოლაში დავიწყე მუშაობა და ბუნებრივია, ველავდი, ისე, როგორც დამწყებ მასწავლებელს სჩვევია. იმჟამინდელმა სკოლის დირექტორმა რაჟღენ რაზმაძემ, რომელიც პროფესიით ფილოლოგი, ერუდირებული და უადრესად კეთილშობილი პიროვნება იყო ყოველნაირად შემოიწყო ხელი რომ ადვილად შეგვეუბოდი ახალ გარემოს, მან და მისმა მეუღლემ

რუსუდან ქართლელიშვილი.

მედეა კაციაშვილი-ფეტვიანი-მელიქიძე – ქვემო გომის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი: უკვე 42 წელია, ერთდროულად შენობის კარებს ვაღებ და ყოველთვის, როგორც კი კარის სახელურს ხელს შევახებ, გულში სითბო მეღვრება, რადგან ეს ჩემი მშობლიური სკოლაა, ჩემი სამფლობელო და ჩემი ნავსაყუდელია. ეს კარი პირველად 1958 წელს შევალე, როდესაც პირველ კლასში მივედი, 8 წელი აქ ვსწავლობდი, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ყველაზე ძალიან მათემატიკა მიყვარდა. ამ საგანს სკოლის საუკეთესო მასწავლებელი თამარ როსტაშვილი გვასწავლიდა, სწორედ ამ ქალბატონის დამსახურებაა, რომ ჩვენი სკოლა მთელ რაიონში გამოირჩეოდა მათემატიკური სწავლების ხარისხით, სწორედ თამარ მასწავლებლის გავლენით ავირჩიე ჩემი მომავალი პროფესია... მანამდე კი, რვა კლასის დამთავრების შემდეგ, ვინაიდან სოფელში საშუალო სკოლა არ იყო, თბილისის 132-ე სკოლაში შევედი. სხვათა შორის, ეს სკოლა ცნობილი იყო მათემატიკის გაძლიერებული სწავლების პროფილით. გამომართლა ამ სკოლაში რომ მოვხვდი, აქაც შესანიშნავი მათემატიკის მასწავლებელი მყავდა – მიმა ბურჭულაძე, რომელმაც თითქოს თავის „ფრთხს“ ქვეშ შემეფარა სოფლიდან ჩასული,

მობუზული ვოგონა და დიდი ამაგი დამდო. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩავაბარე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, მათემატიკურზე... ინსტიტუტი დავამთავრე და განაწილებით, მშობლიურ ქვემო გომის სკოლაში მოვხვდი. ძალიან კარგად მახსოვს, როგორი მორიდებით მივედი ჩემს ყოფილ მასწავლებლებთან, ახლა უკვე როგორც მათი კოლეგა...

წლებმა ძველი თაობა თანდათანობით ახლით შეცვალა. სამწუხაროდ, ბევრჯერ მეტკინა გული ჩემი მასწავლებლების დაკარგვით, შემოდგომის ფოთლებივით ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ სკოლიდან, სამაგიეროდ მოდიოდნენ მათი შემცვლელი, ახალგაზრდები და არცთუ ისე დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ თურმე, მათ შორის ასაკით ყველაზე უფროსი ვარ და თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა ჩემი კოლეგების უმეტესობა, ჩემი ნამოწაფარია, ჩემი ყოფილი მოსწავლეები არიან: სკოლის დირექტორი თამარ მამულაშვილი, მისი მოადგილე დალი ბერიევი და სხვები. რასაკვირველია, უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით ვადევნებ თვალს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს და ვცდილობ ფეხი ავუწყო თანამედროვე მოთხოვნებს, ვეცნობი სიახლეებს, ვესწრები ტრენინგებს, ვატარებ

ვიდეო გაკვეთილებს... ჯერ კიდევ 2010 წლიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო სასერტიფიკაციო გამოცდები, პირველსავე წელს ჩავაბარე და მივიღე სერტიფიკატი, ანუ მასწავლებლობის უფლება. სხვათა შორის, როდესაც გამოცდებზე გავდიოდი, საპენსიო ასაკიც მიწვედა და რაღაცნაირად მერიდებოდა კიდევ, ვფიქრობდი, რომ აქ უფრო ახალგაზრდებს უნდა ეაქტიურათ, მაგრამ მერე დამერე მივხვდი, რომ სკოლის გარეშე ძალიან გამიჭირდება, ჯერჯერობით ვერ შეველევი ჩემს საყვარელ საქმიანობას, არადა, კოლეგები, რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეები მარწმუნებენ, რომ მე მათთვის ძალიან საჭირო ვარ. უზომოდ მეამაყება, როცა ჩემი ყოფილი მოსწავლეები სიხარულით ირჩევენ ჩემს პროფესიას. ესე იგი, კარგად მიმუშავია მათთან, რადგან შედეგს თვალნათლივ ვხედავ. მასწავლებლისთვის ხომ ყველაზე დიდი დაფასება მოსწავლეთა სიყვარულია.

ჩემი სოფელი, აქაურობა რომ გულით მიყვარდა და არ მეთმობოდა, სწორედ ამ სიყვარულის გამო ოჯახიც აქ შევქმენი, ჩემი მეუღლე, რაიონში ცნობილი აქტივისტი ნუგზარ ფეტვიანიშვილი მუდამ მხარში მიდგას და ცხოვრებას მიაღვივლებს, ჩემი პროფესია, პედაგოგობა აირჩია ჩემმა ქალიშვილმა მარიამმა, კმაყოფილი,

# „მათემატიკა ჩემი ჰობი ანის და პრიფესიაც“



უფრო მეტიც, ნამდვილად ბედნიერი ვარ ჩემი დიდი ოჯახით, შვილებითა და შვილიშვილებით, ხომ იცით, ადამიანთა უმეტესობას საკუთარი არჩეული პროფესიის გარდა რაიმე ჰობიც გააჩნია და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ჩემი ჰობი ისევე და ისევე მათემატიკა გახლავთ. როდესაც რაიმე საქმით გადავიღლები და დასვენება მომიხდება, მაგალითებსა და ამოცანებს ვხსნი...

ერთი სურვილიც უნდა გაგიმხილოთ, ძალიან მინდა, ვიდრე მასწავლებლობას დავემშვიდობებოდე, ისეთი სკოლა გვექონდეს, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, თორემ ჩემს სკოლას წელს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება და ამდენად, ყველაფერი ხომ ბერდება, ძველდება და მას განახლება სჭირდება...  
რუსუდან ქართლელიშვილი.

ნიკოლოზ მახშიშვილი – სასირეთის საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი: ჩემი, როგორც პედაგოგის ძირითად მოვალეობად მიმაჩნია მომავალ თაობაზე ზრუნვა. თითქმის ნახევარი საუკუნეა ამ საქმეს ვემსახურები, ყოველნაირად ვზრუნავ, ხელს ვუწყობ მოსწავლე-ახალგაზრდობას, ვიბრძვი იმისათვის, რომ მოზარდს პატარაობიდანვე შევავსო ჯანსაღი ცხოვრების წესი... საამისოდ კი, ბუნებრივია, საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა და პროფესიული განათლებაც ხელს მიწყობს. დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი და მას შემდეგ მოვალეობული ამ სფეროს ვემსახურები. დავიწყე საქადაგიანოს სკოლიდან, იმ ხანად, როდესაც საქადაგიანოს 8-წლიან სკოლაში მომიწია მასწავლებლობა, სკოლას გაუკეთე მინი ფეხბურთის მოედანი და სარბენი ბილიკები, მაშინ მთელი სკოლა აქტიურობდა და შესანიშნავი სპორტული მიღწევებითაც თავს იწონებდა მთელი სოფელი, სხვათა შორის, საქადაგიანოს ბევრი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა აქტიურად მონაწილეობდა და საუკეთესო სპორტულ შედეგებს აღწევდა რაიონულ სპარტაკიადებზე... ცოტა მოგვიანებით, 1973 წელს გადმომიყვანეს კასპის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, სწორედ აქ გავ-

იცანი მრავალი თაობის აღმზრდელი, მცოდნე და ენერგიული პედაგოგი მიხეილ ჯანუაშვილი, რომელმაც უშურველად გამიზიარა თავისი გამოცდილება, ყოველნაირად

ვეებმა, მძლეოსნებმა, ერთი სიტყვით, პირველ სკოლაში როგორც იტყვიან, ქუხდა სპორტული ცხოვრება...  
მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ მიღწევებ-

## ჩემი ძირითადი მოვალეობაა ...



შემიწყო ხელი რომ წარმატებისთვის მიგვეღწია. მთელი რაიონი ამყოფდა პირველ-სკოლელი კალათბურთელი, ფრენბურთელი თუ ფეხბურთელი ახალგაზრდების მიღწევებით, სახელი გაითქვეს მოჭიდა-

ან ერთად წლების განმავლობაში თვალსაჩინო გახდა ჩემი, როგორც პედაგოგის დამსახურება და კარიერა. ვინ მოთვლის, რამდენი ჯილდო და სიგელი მიმიღია, მაქვს წარჩინებული მასწავლებლის სამკერდე ნიშანიც,

დასახლებული ვიყავი წლის საუკეთესო მასწავლებლად... ამასობაში წლები გავიდა, მოვიდა დრო და ჩემს მშობლიურ კუთხეს დავებრუნდი, წარმოშობით მე ყარაღაჯელი ვარ, აქ დავიბადე და გავიზარდე, დამთავრებული მაქვს სასირეთის საშუალო სკოლა და გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ აქაურობა ყოველთვის მიხ-

ვითხრათ, რომ სკოლის დირექტორის, ქალბატონ ნანი ბარნაბიშვილის უდიდეს მხარდაჭერასა და კოლეგიალობას ვგრძნობ სკოლაში მისვლის დღიდან. იგი ხომ თავად სპორტის დიდი ქომაგი და გულშემატიკარი გახლავთ და ძალ-ღონეს არ იშურებს რომ სპორტის განვითარებას არაფერმა შეუშალოს ხელი. სწორედ ამ მიზნით ჯერ კიდევ გასულ წელს გაგვირეგისტრეს და გაგვილამაშეს სპორტული დარბაზი, საგულდაგულოდ, სტანდარტების დაცვით მოეწყო აქაურობა, ერთი სიტყვით, ახლა უკვე ჩვენი სკოლის დარბაზში სპორტის ნებისმიერი სასწავლო პროცესის ჩატარებისათვის ნამდვილად იდეალური პირობებია შექმნილი... ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სკოლა გამოირჩევა სპორტული მიღწევებით და გვყავს წარმატებული სპორტსმენები, მათ შორის არიან: მარიამ ბერიაშვილი, მაკა გულიაშვილი, ნინო ჭაღიაშვილი, ქეთევან მაისურაძე, მაკა მაისურაძე, ლედი ონუაშვილი, გიორგი ბარნაბიშვილი და კიდევ მრავალი სხვა, რომლებიც მარტო სპორტში კი არა, სწავლასა და ყოფაქცევაშიც სანიშნურობები არიან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ჩვენს ბავშვებს, მათ მშობლებსა და პედაგოგიურ კოლექტივს...

# სახოკარი ზეცარიებს რა ანა მხოლოდ მათ

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის უდიდესი მალ-ისხმევითა და მხარდაჭერით ბოლო სამი-ოთხი წელია, ინტენსიურად მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული

ნა... საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმეთვიანი შეუფერხებელი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ფუნქციონირება განახლდა ქალაქის ერთ-ერთი დიდი უბნის საბავშვო დაწესებულებამ, რომელიც

ში ივლიან, რადგან მათ საბავშვო ბაღში /გამგე მარიამ გეჯაძე/ უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღმზრდელის ნინო წერეთელის განმარტებით სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე, მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს მეტეხელი პატარების ტრანსპორტირების საკითხს...

განახლებული, გალამაზებული ბაღის გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე მთელი უბანი მოვიდა, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ აღსაზრდელების მშობლები და ახლობლები, აღმზრდელ- მასწავლებლები, საჯარო სკოლების პედაგოგები, მოწვეული სტუმრები, გაოცებას და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ამ უბნის უფროსი თაობის ადამიანები და აცხადებდნენ, რომ ნახევარი საუკუნეა, რაც ეს ბაღი არსებობს და ამხელა მოცულობის სამშენებლო სამუშაოები აქ არასოდეს ჩატარებულა...

– ამ უბნებმა და არა მხოლოდ მათ შესანიშნავად იციან, რომ პირველი საბავშვო ბაღი იუბილარია, დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა, – განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – და მინდა საოუბილეო თარიღი, განახლებული ბაღი ერთდროულად მივულოცო ჩვენს საყვარელ პატარებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს, ისიც მინდა დაგაანონსო, რომ პირველი ბაღი ერთადერთი არ არის, ვისაც გალამაზებულ და კეთილმოწყობილ შენობაში მოუწევს ყოფნა, უახლოეს დღეებში სიახლეს იზეიმებენ მეორე და მესამე ბაღის ბავშვებიც და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა ბაღს არ გაუუმჯობესდება საყოფაცხოვრებო პირობები.



პროექტების განხორციელება. მართო კასპში კი არა, გადაუღებელი, სარემონტო და აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა ყველა სოფლის საბავშვო ბაღში...

– მუნიციპალიტეტში 26 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, დღითიდღე იხვეწება საგანმანათლებლო პროგრამა და მეთოდოლოგიური სწავლების პროცესი, რასაც რასაკვირვე-

უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული აღჭურვილობით. მოკლედ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ქალაქის 180-ზე მეტი აღსაზრდელი ამიერიდან ნამდვილად დიდ “ფუფუნებაში”, გალამაზებულ, გაკეთილშობილებულ და სრულ კომფორტულ გარემოში გაატარებს ბავშვობის განუმეორებელ, სანატრელ წლებს.



ლია, გარკვეულწილად ხელს უწყობს მთავრობის მიერ აღებული დღევანდელი კურსი, – აცხადებს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – დიახ, საბავშვო ბაღები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სწორედ ამიტომ აქტიურად, თანმიმდევრულად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ, გადაუდებელ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

როგორც ამბობენ წელს ბავშვთა კონტინგენტი პირველ ბაღში კიდევ გაიზრდება, ამას დაემატა ისიც, რომ მეტეხელი აღსაზრდელნი /სავარაუდოდ 32 ბავშვი/ დროებით პირველ ბაღ-




ბაღის საზეიმო გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე, მისი მოადგილე ამირან შავშიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილე ჯამ-




ბოლატ ქაშაძე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანუჩარ მერეაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. დასასრულს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მანანა ხვთისიაშვილმა, ბაღის გამგემ მზია ჭაღიაშვილმა და აღსაზრდელების მშობლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს საქართველოს, რეგიონალურ და ადგილობრივ მთავრობას ამ დიდი საჩუქრისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის მრავალ-პროფილიან სკოლა-გიმნაზიას ამდენი სტუმარი ერთდროულად არ ჰყოლია... საქმე ის გახლავთ, რომ 20 სექტემბერს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ამსახველი (1924, 1937, 1938, 1941, 1951 წწ) გამოფენა-მუზეუმის ოფიციალურ გახსნას დედაქალაქიდან წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია.



# ჩვენს გამგზავნი მოქმედებები



უსწრებდა შრომატევადი, ორგანიზაციული და მოსამზადებელი, ტექნიკური სამუშაოები, ძალიან იმარჯვეს გიმნაზიის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა და არა მხოლოდ მათ, დიდი ერთუზიანში და მოწადინება გამოიჩინა მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა, მოკლედ, საერთო ძალისხმევამ და მონდობამ ხელისშემშლელი



განხორციელებისას მოსწავლეების ორგანიზებით შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოეწ-

ამერიიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის სამუზეუმო სივრცეებს კიდევ ერთი საინტერესო, უფრო მეტიც, ისტორიული მნიშვნელობის კულტურული კერა შეემატა, – განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიჭაშვილმა, – იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ სამომავლოდ ეს

გახსნაზე იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი აბაშიშვილი, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დირექტორი გიორგი ყურული, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი. დამსწრეთა შორის იყვნენ ადგილობრივი

და ა ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ს გამოფენაზე წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები, ფოტო-მასალა, რეპრესირებულთა ბანერები, საკნები, სადაც ამყოფებდნენ პატიმრებს... – ამ ისტორიული მნიშვნელობის მუზეუმის მოწყობის იდეა ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში გაჩნდა – აცხადებს იდეის ავ-



მიზნები უკან მოიტოვა და წამოწყება წარმატებით დასრულდა. – მნიშვნელოვნად შეგვიწყო ხელი ჩვენს მიერ მოპოვებულმა მცირე საგრანტო პროექტმა, “წარსულის კვლავი”, – განაცხადა გიმნაზიის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნინო

ყო საქმიანი შეხვედრები, ჩატარდა გამოკითხვა “რა იცით კასპის რაიონის რეპრესირებული მოქალაქეების შესახებ”, მოსწავლეებმა გადაიღეს და დაამონტაჟეს ფილმი, რომელიც ასახავდა საბჭოთა რეპრესირებული ქალის ცხოვრებას, საზოგადოება “ბილიკის” წარმომადგენლებმა მონაწილეობა მი-



წიგნები და ამავე დროს აქტიურ თანამშრომლობასაც დაჰპირდა. დადებითად შეაფასა კასპში გახსნილი

მუზეუმი აქაურების და არა მხოლოდ მათი, ერთობასაც დაჰპირდა. ერთი საინტერესო მეგზური გახდება.



ხელისუფლების წარმომადგენლები: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გონიჭაშვილი, მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

ლონისძიებს ესწრებოდნენ საზოგადოება “ბილიკის,” კომპანია “ჰაიდელბერგცემენტის,” ორგანიზაცია - PH International ის წარმომადგენლები, აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები, სასულიერო პირები, რეპრესირებულთა ოჯახების შვილები და შვილთაშვილები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები და ახალგაზრდები... სტუმრებმა საგულდაგულოდ



ნიპარიშვილმა, – ამდენად, პროგრამაში “მომავლის თაობა” აქტიურად იყვნენ ჩართული გიმნაზიელები, გვექონდა აგრეთვე აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერაც. ამ საშვილიშვილო პროექტის

იღეს კონფერენციაში “ქალი – წარსული და თანამედროვეობა”. ლონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორმა ომარ თუშურაშვილმა ახალ მუზეუმს საჩუქრად გადასცა



პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმის გახსნა და ვრცლად ისაუბრა ამ ფაქტის მნიშვნელობაზე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ჯანელიძემ.

დას, ქვეყნის ცხოვრების ისტორიული დოკუმენტების ამსახველი მუზეუმი უამრავ მხანველს მოიზიდავს, რაც მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ჯანელიძემ.



გაეცნობა, თუ რა ხდებოდა საბჭოთა რეპრესიების წლებში. გვეჯერა, რომ აქ მრავალი ინტერესი გაკვეთილი ჩატარდება და ბევრი დამსწრეც ეყოლება.

**ქართული ჰილარია**

**ძველ საჭიდაოს ბევრი ახსოვს**



სოფელ ხოვლეში ძველი საჭიდაოა. შუა სექტემბერში სახელდახელოდ შეავლეს ხელი და მან ძველებურად ისტუმრა უამრავი სპორტის მოყვარული. აი, საგულდაგულოდ თუკი შეკეთდება, მისი დარი სასპორტო არენა არა თუ ჩვენში, საქართველოს ბევრ

მსოფლიოს გადასწვდნენ: ერთიცა და მეორეც მსოფლიო მასშტაბით პირველობენ სამბისტ ხანდაზმულ მოჭიდავეებში.

ქართული ჰილარიის ამაგდარ ადამიანებს, ვინც დღეს სამსახურებრივად თუ ბიზნესის შესაძლებლობებით ემსახურება სპორტს, კოლეგებმა და თანასოფლელებმა



ბურთზე მეოცნებე ახალგაზრდები. აღნიშნული ღონისძიების დროს ეს საჭირობოროტო საკითხი კიდევ ერთხელ დაისვა სტუმრების საყურადღებოდ. კარგია, რომ რაიონის თავკაცობაში ფეხბურთის მოყვარულები საქმეების პირველი

დიდი საჭიდაო ზეიმი გაუმართეს. ჰილარიის ეროვნული ფედერაციის ეგიდით მოწყობილი შეჯიბრება დაამზენეს ჰეშმარტმა ვაჟკაცებმა, თვით რიო-დე-ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენებმა (რად ღირს, თუნდაც, ხოვლეში ავთანდილ ჭრიკიშვილის ჰილარობის ხილვა!) და ჩემპიონმა, ლაშა ტალახაძემ.

მოადგილე, თეიმურაზ ხიზანაშვილი, არჩეულია ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. წარმატებული ყოფილი ფეხბურთელია ირაკლი მეზურნიშვილიც, რომელიც სტუმრის სტატუსით ესწრებოდა საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელთა ერთიან შეკრებას.



და, მონაწილეობდნენ: ლაგოდნელი, გურჯაანელი, თელაველი, მცხეთელი, ქარელელი, საგარეჯოელი, ლენტეხელი, გორელი, ასევე, კარალეთელი

(გორის რაიონი) და ერედველი (ცხინვალის რაიონი) მოჭიდავეები. მეტიც, შეჯიბრებას საერთაშორისო რეზონანსი შემატა მასში ფრანგი

**ძიულ: აპრონის ახალგაზრდული**

**ქართველი გუნდები მატარებენ**

მაღაგა ესპანური ქალაქია. იქ 16-18 სექტემბერს ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა ძიუდოსტებმა თავი მოიყარეს პირადგუნდურ ჩემპიონატში სასპარეზოდ. საქართველოს ნაკრებ გუნდში (მწვრთნელები – მინდია ბოდაველი და ირაკლი ცირეკიძე) ჩვენი რაიონის წარმომადგენელი სამი მოჭიდავე გამოდიოდა: დავით გეგაძე (55 კილოგრამის წონით კატეგორიაში), რობინზონ ბეგლარაშვილი (60) და გიორგი კაციაშვილი (73).



მათგან ყველაზე უკეთ გიორგიმ იჭიდავა და მხოლოდ საფინალო ორთაბრძოლა დათმო აზერბაიჯანელ მეტოქესთან. იგი ევროპის პირველობის წლეუანდელი გათამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კაციაშვილი, ჯერაც ჰაბუკმა, 2012 წელს ჩერნოგორიაში საევროპო პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა, 2013-ში ჰოლანდიის ქ. უტრეხტში მოიგო ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ...

ესპანეთში გუნდური პირველობა ქართველმა ძიუდოსტებმა ბრწყინვალე გამოსვლით დაავიროვეს: რუმინეთის, ავსტრიის, რუსეთის გუნდები გზადაგზა დაატერორეს, ფინალურ შეხვედრაში კი

აზერბაიჯანის ნაკრები დაატატამეს და ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

ესოდენ სასახელო გამარჯვებას ვულოცავთ სამივე კასპელი მოჭიდავის ახლობლებს, ნაკრების მწვრთნელებსა და მათ პირველ მწვრთნელებს – ნუგზარ მამულაშვილსა და ჯემალ ხორბალაძეს!

ა. კალანდაძე გამოყენებულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ფოტო

**გამოიწვიოთ "ახალი განთავსი" რა განთავსი ჩვენი მითხვროი!**

**ფანსურით**

**ახალი იმედების და გეგმებით**

კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ახალი დირექტორი თავკაცობს – ზაზა ჯალაღლი. სკოლას სავარჯიშო ჯგუფები რაიონის სოფლებშიც ჰყავს. ახალგაზრდა დირექტორიც, მწვრთნელებიცა და 250-ზე მეტი აღსაზრდელიც ახალი იმედებითა და გეგმებით შეეგებნენ სასწავლო წლის განახლებას... ამასთან დაკავშირებით ისინი კასპის საფეხბურთო მოედანზე შეიკრიბნენ და საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს სამწვრთნელო-სავარ-

ჯიშო სეზონის დადგომა. მარშანდელი სეზონი წარმატებული გამოდგა. სკოლის ექვსმა ასაკობრივმა გუნდმა საქართველოს რეგიონული გათამაშებები მოიგო. რამდენიმე აღსაზრდელი მიწვეულია მაღალი დონის გუნდების შემადგენლობაში.

... საფეხბურთო სეზონი სეზონს მისდევს, ამასობაში კი ჩვენს ქალაქში არც თანამედროვე მოედანი (სტადიონი?) გვაქვს და არც სასკოლო კეთილმოწყობილი ბაზა, რასაც ფრიად საჭიროებენ დიდ ფეხ-

**ოლიმპიური ეპო**

**როცა "ევროპა ჩიხს ირგებდა"**

ლამა შავდათუაშვილის – ლონდონის (ინგლისი, 2012 წ.) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილია, 2016 წ.) ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანს!

კასპის საფეხბურთო მოედანზე როდის და რატომ იჭიდავა ოლიმპიური თამაშების ორი მედლის მფლობელი ლაშა შავდათუაშვილის მამამ, ამის თაობაზე საინტერესო ფაქტი მახსენდება ჩემივე

წერილიდან, რომელიც "განთავსის" ფურცლებზე გამოქვეყნდა 1990 წლის 16 აგვისტოს ნომერში.

საქმე ისაა, რომ იმ წელს რაიონის ღია პირველობაზე ქართულ ჰილარობაში, მასპინძელთა გარ-

და, მონაწილეობდნენ: ლაგოდნელი, გურჯაანელი, თელაველი, მცხეთელი, ქარელელი, საგარეჯოელი, ლენტეხელი, გორელი, ასევე, კარალეთელი

(გორის რაიონი) და ერედველი (ცხინვალის რაიონი) მოჭიდავეები. მეტიც, შეჯიბრებას საერთაშორისო რეზონანსი შემატა მასში ფრანგი

სპორტსმენების ჩაბმა. ქ. ტულუზას სამბისტთა კლუბის წევრების – ფილიპ ოვიტუსის, ამსტერდამისა და ჟაკ კრამუსელის გამოსვლას



კასპელი მაყურებელი ოვაციით შეეგება. პირველი და მესამე მათგანი "სუფთად" დამარცხდნენ კარალეთელ გენადი შავდათუაშვილთან და კასპელ ალექსანდრე გზირიშვილთან, მეორემ კი ქულებით სძლია ერთ-ერთ მასპინძელს ...

სხვათა შორის, ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი წერილი გაზეთმა "ლელომ" პირველ გვერდზე დაბეჭდა სათაურით: "ევროპა ჩიხს ირგებს".

რაც შეეხება უფროსი შავდათუაშვილის კასპში

ჰილარობას, მან ფრანგ მოჭიდავეს კი სძლია, მაგრამ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა... მის ოჯახში 2 წლის შემდეგ, 1992 წელს, დაიბადა ვაჟი – ლაშა, რომელიც ინგლისის დედაქალაქში 20 წლისა გაჩემპიონდა და ქართული სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი. კიდევ ერთი, მანვე ბრაზილიის დედაქალაქში ვერცხლი ირგუნა 8 აგვისტოს – საქართველოს ისტორიაში, ასევე სიმბოლურ დღეს...

ა. კალანდაძე.



\* დასასრული.

ნენ. თეიმურაზ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს „გაბაასე-ბიდან“ ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ორპირ ანუ ორკედლიან ქვევრებს ამზადებდნენ, თიხის ზედაპირს შიგნიდან ცვილით ამოლესავდნენ. ამგვარად შენახული ღვინო ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა, ძველდებოდა და ღირსებაც ემატებოდა.

თუ ყურადღებას მივაქცევთ, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ საქართველოს სხვადასხვა არეკუთხეების ბუნების აღწერილობას, აღმოვაჩინებთ, რომ ბარის მიწების შესახებ ყველგან გვხვდება ეპითეტები: „ვენახოვანი, ხილიანი.“ ვახუშტი იმასაც აღწერს, თუ სად როგორი წარჩინებული ღვინო დგებოდა. დამპყრობელთა სჯულისა და ეროვნების განურჩევლად, ყველა მათგანი უპირველესად ვენახს მიაღებოდა და უმოწყალოდ კაფავდა, ძირკვავდა, ცეცხლს უკიდებდა. მაგალითად თემურ ლენგმა ისე დაუნდობლად მოაოხრა ვენახები, რომ ქართლსა და კახეთის იმ მიწებზე, რომლებსაც მან გადაუარა, ვახის ხე-აგანა მოშენებას საუკუნეები დასჭირდა. მიუხედავად ამისა, ქართველი მუდამ ამინაურებდა და კულტურულად აქცევდა უამრავ ჯიშს, რომელთა რიცხვი 500-მდე აღის. მათი უმეტესობისაგან დამზადებული ღვინოები უნიკალურია, იმით, რომ სწორედ ამ მიწაზე, ამ ლანდშაფტში, მოვლის, დაწურვისა და დაყენების ნიშანდობლივი წესების მიხედვითაა მიღებული.

თავადი ლეევან ჯორჯაძე – ერთერთი პირველი პროფესიონალი მეღვინე და ამპოლოგი, 1876 წელს დასტამბულ წიგნში „მევენახეობა, ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება“ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საქართველოდან ყურძნის ჯიშების წაღება და ევროპაში დამკვიდრება მუდმივად ხდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ უცხო მიწაზე გაზარებული ვახიცი პირველსავე კარგავდა, უცხოვდებოდა, სხვანაირ ღვინოს იძლეოდა. ევროპაში გამგზავრებული ქართველები მოწონებულ ნერგებს აქეთ ეზიდებოდნენ, გაახარებდნენ, სხვანაირ ღვინოს მიერთმევენდნენ. ათწლეულის შემდეგ კი, ჩამოტანილი ვახი ქართული ჯიშისა აღმოჩნდებოდა ხოლმე, ამ მიწაზე სახეს იბრუნებდა. ზოგჯერ კი, ღიღივით ემსგავსებოდა ქართულ ჯიშებს. თვით სხვადასხვა ქართულ სოფელში მოსული ერთი და იგივე დასახელების ვახისაგან განსხვავებული ღვინო დგება. მაგ. საფერავი ბევრ სოფელში ხარობს, მაგრამ საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშის საფერავი გამორჩეულია, ამიტომაც საქვეყნოდაა განთქმული... ასევეა მანავის მწვანე, ნაფარეულის რქაწითელი, ბახვის ჩხავერი და ა.შ.

საზოგადოდ ვახის გამწვანებისათვის საუკეთესო ადგილად

მზით განათებული ფერდობი ითვლება. თუმცა, მხოლოდ რელიეფი და ჰავა კი არ განსაზღვრავს ღვინის გემოს, სურნელსა და განსხვავებულ შემადგენლობას, არამედ, ვენახის ზრდის „არქიტექტურა“. სხვადასხვა სახით ნაშენ ვახს ოდითგან სხვადასხვა სახელები ჰქონდა საქართველოში. ივანე ჯავახიშვილი ამ სახელწოდებებს ბიბლიის ძველქართულ თარგმანებშიც პოულობს. ვახის დამაგრება-გამწვანების წესების მიხედვით ვენახსაც სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა. მარტო ამ აგებულებათა მრავალფეროვნებიდან შევძიოდა დავასკვნათ, თუ რაოდენ ღრმა და მეცნიერული იყო ქართველთა დამოკიდებულება ღვინის, როგორც ფენომენისადმი, რადგან ყველა ამ სახეობას გამწვანების თუ დაყენების თავისებური წესი და ტექნოლოგია ახასიათებს: დაბლარი, ანუ ხელნაშენი, მაღლარი, დობილო, ბაბილო, ოლიხნარი, ხარდნის ვენახი, ტალავერი, ანუ ხეივანი, განთხმული ვახი...

ვენახის გამწვანება-მოვლას, ღვინის დაყენება-მწვანებას ყველა ყმაწვილკაცი მამა-პაპათაგან სწავლობდა. ეს გახლდათ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნები, რომლის მიხედვითაც უმცირესი დეტალებიც კი გასაკვირი სიზუსტით იყო გათვლილი. ამ წესებს ფლობდნენ და მოწაფეებს გადასცემდნენ ეკლესიამონასტრებში მოღვაწე განსწავლული ბერ-მონაზვნები, რადგან თითქმის ყოველ ქრისტიანულ საგანეში გაშენებული იყო ვენახი და ქვევრ-მარანი. ერთერთი პირველი ქართული უნივერსიტეტის, იყალთოს აკადემიის სასწავლო კურსში კი ეს დარგი მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდა. საქართველოში ყოველთვის უანგარიშო რაოდენობის საუკეთესო ღვინო მზადდებოდა. მაგალითად, XVII საუკუნეში, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თხრობით, არ არსებობდა ისეთი ქვეყანა, სადაც იმდენ და იმგვარი ხარისხის ღვინოს აყენებდნენ, როგორც საქართველოში, საიდანაც ეს სასმელი უხვად მიჰქონდათ უცხოეთში. არქანჯელო ლამბერტი კი, იტალიელი მისიონერი, ქართველების სუფრასთან სხდომის ხანგრძლივობასა და შესრული ღვინის რაოდენობას გაუოცებია. რაც შეეხება ქარხნული წესით ღვინის დამზადებას, ეს პროცესი მხოლოდ IX საუკუნეში დაიწყო. ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მეღვინეები ზემოხსენებული ლეევან ჯორჯაძე და მურხანელი ბაგრატიონი გახლდნენ. ამ უკანასკნელმა თავად ააშენა ქარხანა ქართლში და შვედი მეღვინეც მოიწვია სამუშაოდ... მას აქეთ მუდმივად იზრდება წარმოებული ღვინისა და იმ ადამიანთა რიცხვი მსოფლიოში, ვინც ქართულ ღვინოს მიერთმევენს...

ყურძნის ყოველი ჯიშისა და ღვინის ყოველი სახეობა ამ ქვეყნის მიწის, მზისა და ჰაერის, ადამიანის აზროვნებისა, შრომის, და სიყვრულის შვილები არიან; XX საუკუნის II ნახევრის აღწერილობით საქართველოში ვახის 500-ზე მეტი ჯიშის აღრიცხეს—80 კახური, 72 ქართლური, 75 იმერული, 50 რაჭულ-ლეჩხუმური, 72 მეგრული, 53 გურული, 58 აფხაზური, 52 აჭარული და სხვა ჯიშები. მათი უმეტესობისაგან ჩინებული, სრულიად უნიკალური თვისებების ღვინოები მზადდება. ყოველი მათგანი სასიამოვნო, თრობის განსხვავებულ ხარისხსა და განუმეორებლად ამაღლებულ მეგრძებებს იწვევს... მაგრამ... „მრავალნი — ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ — ესენია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ჩინური(ნიშნავს საჩინოს, საუკეთესოს), თავკვერი, ცოლიკოური, კრახუნა, ჩხავერი, ოჯაღეში, ალექსანდროული, ალადასტური, ციცკა და სხვა, რომელთაგან სხვადასხვაგვარი — ბუნებრივად ნახევრადმშრალი, მოტკბო, სუფრის მშრალი სამარკო, ორდინალური თუ არაორდინალური, შემაგრებული თუ საღესტრო ღვინოები მზადდება. ამ ჯიშების უმეტესობა მზავრე, ანუ მზიან ადგილებში ხარობს, მათგან დაწურული ღვინო მაგარი, გემოთი გამორჩეული და სურნელოვანია. როგორც მეცნიერები ამბობენ ქართული ღვინის უნიკალურობის კიდევ ერთი მიზეზი მჟავიანობის, შაქრიანობის და სპირტიანობის განსაკუთრებულ შერწყმაში მდგომარეობს.

რქაწითელი ქართული ყურძნისათვის დამახასიათებელ მრავალ თვისებას ატარებს: უძლებს ზამთარს, ოქროსფერ-მოყვითალო და მოყავისფრო, წვნიანი მტკვნელები საჭმელად ტკბილი და გემრიელია, მისგან დგება შესანიშნავი ღვინო; მარგებელი და სურნელოვანი ყურძნის წვენი; კეთდება საუკეთესო ჩამიჩი, დაღულების შედეგად კი, მიიღება შეუდარებელი ბადაგი, რომელიც დიდხანს ინახება და მისგან საჩურჩხელე თათარაც იხარშება. რქაწითელისგან იწურება განსხვავებული სასუფრე თეთრი ღვინოები—პორტვინის, მადერის, ორდინალური და სხვა. მოყვითალო ქარვისფერიდან ღია ყავისფერამდე—ულამაზეს ტონებში მერყეობს. ქარხნული წესით ხშირია მასთან ხიხვისა და მწვანეს შერევა. (მწვანეც უნიკალური კახური ჯიშია და მხოლოდ მისი მტკვნელებისგან დაყენებული მოყვითალო, მომწვანო ღვინო მსუბუქი სურნელით, ნაზი, ხალისიანი, ჰარმონიული გემოთი გამოირჩევა. ხიხვიც, აღმოსავლეთ საქართველოს, ერთერთი მშვენიერი და გემრიელი ჯიშის, დამოუკიდებლად იძლევა ოქროსფერ, სურნელოვან მაგრ ღვინოს. ორივე მათგანს თავისი ადგილი მყარად აქვს დამკვიდრებული ქართულ

“შენ ხარ ვენახი”

ღვინოწარმოებაში.) რქაწითელის ნერგები საქართველოდან სხვადასხვა ეპოქებში მრავალგზის გაუტანიათ და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთერთი უძველესი აბორიგენული ჯიშია, მშობლიური კახეთის გარდა, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყანაში, შორეულ უზბეკეთსა და ყაზახეთშიც კი გაასარეს.

საფერავიც ერთერთი სიმბოლოა ქართული მეღვინეობისა. მისგან იშვიათი გემოსა და სურნელის, ძვირფასი ღვინო მზადდება. მუქლურჯი მომღვინისფრო შეფერილობის ნაზკანიანი, თითქოს ცვილით დაფარული საშუალო ან დიდი ზომის მტკვნელები საკვებად ისე წარმატებით არ გამოიყენება, როგორც რქაწითელი, თუმცა, ჩემი აზრით ძალიან გემრიელია. ღვინო კი, რომელსაც კახეთში წითელს ეძახიან, სხვა კუთხეებში კი, შავს, ნამდვილად ღვითურია. ტრადიციულად, სწორედ იგი იხმარებოდა ერთერთი დიდი ქრისტიანული საიდუმლოს—ზიარების აღსრულებისას. უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა საფერავში უამრავი სამკურნალო თვისება აღმოაჩინეს, განსაკუთრებით გულსისხლ-ძარღვთა სისტემის მაკურნებელი. დაძველების პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულ სურნელებასა და თვისებებს ამჟღავნებს. ხშირად სხვა ჯიშის ყურძნის ნაწილობრივ საფერავს დაამატებენ ხოლმე, რომ ღვინო გაკეთილშობილდეს.

ქართლის ვენახებს დარეჯან დედოფალი თურმე გულმოდგინედ უფრთხილდებოდა. აქ გავრცელებულ მრავალ ორიგინალურ ჯიშთაგან ჩინური, თავკვერი და გორული მწვანე გამორჩეულ ღვინოებს იძლევა, მუქი ლურჯი ფერის თავკვერის მტკვნელები მისართმევადაც სასიამოვნოა და მისგან სურნელოვანი სუფრის ღვინოც იწურება. წარჩინებული მშხეფარე ღვინოები მზადდება ჩინურისა და გორული მწვანეს შერევით—ღია ხალისფერი, მომწვანო ელფერი, ნაზი და ჰარმონიული გემოთი.

თუ კახურ, და ნაწილობრივ ქართლურ ღვინოს თანდაყოლილი პიკანტური სიმწკლარტე დაჰკრავს, იმერულ, მეგრულ, რაჭულ, აფხაზურ და აჭარულ ღვინოებში ხილის სურნელთა ერთობლიობა და სიმსუბუქე სჭარბობს. მაგალითად, ცოლიკაურის, ციცკასა და კრახუნას იმერული ჯიშებისაგან ლამაზი ხალისფერი, ექსტრაქტული, რბილი, გამაგრებელი მჟავიანობის მქონე ღვინო მზადდება. იმერული წესით, ტკბილის დუღილითა და ნაწილობრივ ჭაჭის დამატებით დაყენებული ღვინოები ნაკლებალკოჰოლურია და მათ რაჭ-



ულ თეთრასთან ერთად, ხშირად საქეიფოსაც უწოდებენ. ბუნებრივად მოტკბო ღვინო მზადდება ასევე ჩხავერის ჯიშის ყურძნისაგან, რომელიც იზაბელასთან ერთად, უხვად ხარობს აფხაზეთს, აჭარასა და გურიაში. ჩხავერისაგან დამზადებულ ღია ხალისფერ ღვინოს, დახვეწილი და სასიამოვნო გემო აქვს ხილის ნაზ არომატთან ერთად. მათგან მუშხუნა ღვინოებსაც აყენებენ. წითელი, განუმეორებელი მარწყვის ტონების მატარებელი, ლალისფერი ღვინო მზადდება ოჯაღეშისაგან, რომელიც ცავერსა და სამეგრელოშია გაშენებული. ისიც ქართული მოტკბო ღვინოების რიგს ამშვენებს თავისი მდიდარი, ჰარმონიული გემოთი. ასევე ლალისფერია უსახელოური-განსაკუთრებულად ნაზი, ტკბილი ღვინო, მაგრამ მოტკბო ღვინოების დედოფლად მაინც უძვირფასესი წითელი ღვინო—ხვანჭკარა ითვლება, რომელიც რაჭული ალექსანდროლისა და მუჯერეთის ჯიშებისაგან მზადდება. მას ხვევრდოვნება და განვითარებული ჯიშური არომატების ნაზავი ახასიათებს...

შეუძლებელია, ასეთ კულტურულ-ესთეტიკურ მოვლენაზე საუბრისას, უკმარისობის გრძობა არ დაგეუფლოს; თანაც ამ მცირე ნარკვევის მიზანიც ხომ, გარკვეულწილად, ამბიცურია: გაახსენოს მკითხველს, რომ ქართული ვახი და ღვინო მარადისობის თემაა — უსასრულო და ღრმად განფენილი — ბუნებისა და ადამიანის გონიერი ნებისყოფის ანარეკლი; თავად არის პათოსი და ამაღლებულ განცდათა სათავე. მეტიც — ვახი და ღვინო რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილ ფენომენთან ერთად, ზოგად-ეროვნული იდეის ნაწილია და “თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია”, იმედია, რომ ისიც მასთან ერთად იცოცხლებს.

მარინა ყიფშიძე. ავტორი მადლობას უხდის ბატონებს—სანდრო და ნოდარ ფიცხვარაშვილებს დახმარებისათვის.

ვილორავთ!

თონა დალაქიშვილს საფიცარ ვაჟკაცთან და საყვარელ ოჯახთან ერთად ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ბარაქას.

ბელა დეიდა.

გაიხანით

ბ ე ქ ა კავთიანშილი. 14 წლის. სწავლობს თვალადის საჯარო სკოლის IX კლასში. ხაზავს 5 წლიდან



თუ ხატავთ და გინდათ გააცნოთ თქვენი შემოქმედება საზოგადოებას თქვენ ი ნ ა მ უ მ ე ვ რ ე ბ ი თ მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი თ რ ე დ ა ქ ე ა მ ი.

„ახალი განთიარა“ ეძებს წარწერებს სურათებს წაიღონი სავსებით ოცორო-მასიანის შერეულ-ნელოვო. თხოვნი მივმართავთ თანაწარწერებს - რაცოვოთ თქვენი ყველი სეგნს მასიანში გ-მოგვიგზავნეთ წარწერებს რა სავსალონო ოცოვოები!



მეხეთ დო მუჭიკა - ნელინადის მეხეთ დო ელოდებო თქვენ გამოსმაყ-მეხას. მომძინლით მელაქციაში. გაეგანით თქვენი ნამუქეგეგეში (ნამ-მოადგინეთ ელოცონსული ექს-სი) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

„მანაგუნა, ეპებს საინტერესო ავტორებს

ზავშვოვანში ნათქვამი „ფრთიანი ფრაზები“ მთელი რხოვრება ალამაზე-ნენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ „ოქროს ფონდში.“ თაონიდან თაონას გადაერემი-ან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბოზნი ხდები-ან.

შეინახეთ თქვენი ზავშვოვანის საინტერესო ნუთე-ნი ჩვენს რუბრიკა-ში „მანაგუნა“ და გავხდით სასურველი სტუმარი.

გამოსათხოვარი

მეტამ შეტენიშვილი



17 სექტემბერს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი.

ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი, „მუზა“ (ბრინჯაო, 1971, თბილისი), „კიდევაც დაიზრდებიან...“ (ბრინჯაო, 1975, მარნეული), კოტე მარჯანიშვილი (დიურალუმინიუმი, 1966, თბილისი, მეტროს სადგური „მარჯანიშვილი“). წარმატებით მუშაობდა გრაფიკისა და ფერწერის დარგში.

მერაბ ბერძენიშვილის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა გვაკავშირებს კასპელებს. მან 1971 წლის შემოდგომაზე გიორგი სააკაძის ძეგლის დადგმის შემდეგ გამოჩეული ხიბლი და მნიშვნელობა შესძინა ჩვენს ქალაქს. უკვე 45 წელია ძეგლი კასპის სავიზიტო ბარათად იქცა.

მერაბ ბერძენიშვილი ძირითადად მუშაობდა მონუმენტური ქანდაკების დარგში. ბერძენიშვილის ნამუშევრებს ახასიათებს ფორმების დინამიზმი, გამომსახველი პლასტიკურობა, შინაგანი დრამატიზმი. მისი ძირითადი ნამუშევრებია: „რუსთაველი“ (ბრინჯაო, 1966, მოსკოვი), ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი (1958), მონუმენტები: დავით გურამიშვილი (თუჯი, 1965, თბილისი), გიორგი სააკაძე (ბრინჯაო, 1971, კასპი), მედეა (ბრინჯაო, 1968,

მერაბ ბერძენიშვილი ძირითადად მუშაობდა მონუმენტური ქანდაკების დარგში. ბერძენიშვილის ნამუშევრებს ახასიათებს ფორმების დინამიზმი, გამომსახველი პლასტიკურობა, შინაგანი დრამატიზმი. მისი ძირითადი ნამუშევრებია: „რუსთაველი“ (ბრინჯაო, 1966, მოსკოვი), ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი (1958), მონუმენტები: დავით გურამიშვილი (თუჯი, 1965, თბილისი), გიორგი სააკაძე (ბრინჯაო, 1971, კასპი), მედეა (ბრინჯაო, 1968,

ნოღარ ნაბროშვილი ოჯახით ღრმა მხუნ-არაბას გამომთქვამს ომარ განიგაშვილის გარდასვალაზის გამო და უსამიძობაზს განსვენა-ულინ ოჯახს.

სამთავისის საჯარო სკოლის პა-კოლაქივი. გეგეარსონალი. მოსწავლავი სამიძობარს უსხაღაზან სკოლის დირაქაქორს ლალა ჩარაქანიშვილს მამის ავთანდილ ჩარაქანიშვილის გარდასვალაზის გამო.



შეგიბლიათ, მთგეაქედით თქვენი შვილუშის, შვილიშვილუშის



ბ ა დ ი - ნალორბი თ-ცოქი, ნახ-ა ტ ე შ ი , ა გ ბ შ ი . ისინი გამ-ძეეცნიერმა ჩ ე ე ნ ს გავრთში.



წინასაარჩევნო აგიცავისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2016 წლის 8 ივნისიდან - 2016 წლის 8 ოქტომბრამდე გამოყოფილია ვაზეის ფართობი. ვაზეის ერთ ნომერში გამოყოფილია ფართობის სიღრმე შეადგენს 5520მ<sup>2</sup>, მოტასნად გამოყოფილია ფართობის უფასო ნაწილის სიღრმე შეადგენს 2760მ<sup>2</sup>. ა3 ფორმაცის ჩანართის ტარებულტენაა 368 ტ (1მ<sup>2</sup>-40 ოციონი).

რადამითა ხელმძღვანელობს თაინსუაღი პრისის პრინციპით. მოგანილი ვაქაზის სიუსსაზაუა ა-სუსსიშაბაღლია ავტორი. საკავალაშო მასალაზი-სა და განსხაღაზაზის შინაარსაზა რადამითა ა-სუსს არ აზაზს. რადამითის ნებაკითვის გარაზა მასალაზის გამოქვამაზაზა იქარაღაზა.

რადამორი ნანა გარაზაზილი რადამითის მისაზარით: 2600 შ კანაში სააკაძის შ. № 68 ტელეფონი 22-25-76 გავითი იზაქაზა გავომეზაღოზა კოქორაზი..